

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2019 წლის 25 დეკემბერი

ქ. გარდაბანი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №54 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 27/12/2018, 190020020.35.161.016433).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ტარიელ ჯანხოთელი

დანართი №1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბალანსი

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
შემოსავლები	28,603.9	38,455.1	32,916.4
გადასახადები	22,867.0	23,875.0	24,343.8
გრანტები	2,343.0	10,066.3	4,976.4



სხვა შემოსავლები	3,394.0	4,513.8	3,596.2
ხარჯები	14,817.1	21,811.2	18,873.2
შრომის ანაზღაურება	3,712.4	4,100.0	4,085.0
საქონელი და მომსახურება	2,588.4	3,389.5	3,015.5
პროცენტი	81.8	48.0	35.0
სუბსიდიები	6,554.7	8,181.5	9,235.2
გრანტები	45.0	3,294.2	45.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,571.7	2,337.6	1,993.5
სხვა ხარჯები	263.1	460.5	464.0
საოპერაციო სალდო	13,786.8	16,643.8	14,043.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,295.5	29,582.6	13,941.1
ზრდა	9,396.4	30,732.6	14,241.1
კლება	100.8	1,150.0	300.0
მთლიანი სალდო	4,491.3	-12,938.8	102.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	4,380.4	-13,092.8	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-110.9	-154.0	-102.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები

და ნაშთის ცვლილება:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები

და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

(ათას ლარებში)

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
შემოსულობები	28,704.8	39,605.1	33,216.4
შემოსავლები	28,603.9	38,455.1	32,916.4
არაფინანსური აქტივების კლება	100.8	1,150.0	300.0
ფინანსური აქტივების კლება	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-
გადასახდელები	24,324.3	52,697.9	33,216.4
ხარჯები	14,817.1	21,811.2	18,873.2



არაფინანსური აქტივების ზრდა	9,396.4	30,732.6	14,241.1
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-
ვალდებულებების კლება	110.9	154.0	102.0
ნაშთის ცვლილება	4,380.4	-13,092.8	0.0

მუხლი 3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

(ათას ლარებში)

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 32,916.4 ათასი ლარის ოდენობით			
დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
შემოსავლები	28,603.9	38,455.1	32,916.4
გადასახადები	22,867.0	23,875.0	24,343.8
გრანტები	2,343.0	10,066.3	4,976.4
სხვა შემოსავლები	3,394.0	4,513.8	3,596.2

მუხლი 4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

(ათას ლარებში)

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 24,343.8 ათასი ლარის ოდენობით				
შემოსულობების კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
11	გადასახადები	22,867.0	23,875.0	24,343.8
1111	საშემოსავლო გადასახადი	1,981.7	0.0	0.0
11311	ქონების გადასახადი	20,885.3	22,000.0	22,000.0
113111	საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა)	13,201.1	13,400.0	13,400.0
113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	94.7	80.0	70.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი	35.1	20.0	30.0
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1,376.1	2,200.0	1,700.0
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	6,178.4	6,300.0	6,800.0
11411	დამატებითი ღირებულების გადასახადი	0.0	1,875.0	2,343.8



მუხლი 5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

(ათას ლარებში)

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4,976.4 ათასი ლარის ოდენობით				
შემოსულობების კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
13	გრანტები	2,343.0	10,066.3	4,976.4
133	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	2,343.0	10,066.3	260.0
1311	ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	260.0	1,835.7	260.0
	გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	260.0	1,835.7	260.0
	ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	0.0	0.0
1312	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2,083.0	8,230.7	4,716.4
	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2,083.0	7,568.7	4,716.4
	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	662.0	0.0

მუხლი 6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათას ლარებში)

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3,596.2 ათასი ლარის ოდენობით				
შემოსულობების კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	3,394.0	4,513.8	3,596.2
141	შემოსავლები საკუთრებიდან	1,381.1	1,450.0	1,100.0
1411	პროცენტები	945.1	950.0	600.0
1415	რენტა	435.9	500.0	500.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	407.9	500.0	500.0
	შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში			



14154	(უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	28.0	0.0	0.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	123.1	150.0	170.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	96.1	130.0	150.0
14223	სანებართვო მოსაკრებელი	69.8	80.0	100.0
142214	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	26.3	50.0	50.0

1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	27.0	20.0	20.0
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	27.0	20.0	20.0
143	ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,848.3	2,030.0	2,000.0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	41.5	883.8	326.2

მუხლი 7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

(ათას ლარებში)

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 18,873.2 ათასი ლარის ოდენობით			
დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
ხარჯები	14,817.1	21,811.2	18,873.2
შრომის ანაზღაურება	3,712.4	4,100.0	4,085.0
საქონელი და მომსახურება	2,588.4	3,389.5	3,015.5
პროცენტი	81.8	48.0	35.0
სუბსიდიები	6,554.7	8,181.5	9,235.2
გრანტები	45.0	3,294.2	45.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,571.7	2,337.6	1,993.5
სხვა ხარჯები	263.1	460.5	464.0

მუხლი 8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 13,941.1 ათასი ლარის ოდენობით მათ შორის:

(ათას ლარებში)

ა) განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 14,241.1 ათასი ლარის ოდენობით



კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
01 01 02	გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია	801.1	380.0	100.0
02 01 01	გზებისა და ტროტუარების მშენებლობა- რეაბილიტაცია	3147.5	12771.8	10032.6
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	0.0	0.0	40.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	0.0	0.0	20.0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	1862.9	4691.0	0.0
02 02 03	საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა- რეაბილიტაცია	1.5	505.5	0.0
02 02 05	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	0.0	172.3	81.1
02 02 06	საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა	0.0	0.0	25.0
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	22.5	421.3	0.0
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	0.0	1598.5	0.0
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	487.6	665.3	0.0
02 04 04	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოვლა-პატრონობა	0.0	0.0	53.9
02 05 02	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	228.1	186.6	0.0

02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	376.3	842.9	84.0
02 07 01	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯები	0.0	0.0	1000.0
02 07 02	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	719.3	3111.5	880.0
02 08 01	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	6.3	662.0	0.0
03 02 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	0.0	429.5	766.8
03 03 01	ნარჩენების შეროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა	0.0	278.0	0.0
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	19.9	115.0	11.0
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია	1718.6	2583.0	1128.4
04 02 01	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	0.0	1290.0	0.0
05 02 03	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	0.0	0.0	3.8
05 02 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	0.0	0.0	6.2
05 02 05	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	2.6	8.6	3.7



05 02 07	მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა	0.0	0.0	1.4
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2.2	16.3	1.3
06 02 04	თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა	0.0	3.6	2.0
სულ		9,396.4	30,732.6	14,241.1

(ათას ლარებში)

ბ) განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 300.0 ათასი ლარის ოდენობით			
დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	100.8	1,150.0	300.0
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	51.1	750.0	200.0
შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	49.8	400.0	100.0

მუხლი 9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური ჭრილში თანდართული რედაქციით.

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6149.1	6284.6	5980.0
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6065.1	6221.6	5845.0
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	6065.1	6221.6	5845.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	40.0
70131	საერთო საკადრო მომსახურება	0.0	0.0	40.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	83.9	63.0	50.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	45.0
702	თავდაცვა	169.9	212.0	212.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3911.5	15909.3	12007.6



7045	ტრანსპორტი	3185.3	12772.8	10092.6
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3185.3	12772.8	10092.6
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	726.2	3136.5	1915.0
705	გარემოს დაცვა	1036.0	2506.4	2052.1
7051	ნარჩენების შეროვება, გადამუშავება და განადგურება	714.6	1226.0	948.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	66.2	505.5	202.3
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	0.0	429.5	871.8
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	255.2	345.5	30.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3952.8	13450.3	1935.7
7061	ბინათმშენებლობა	487.6	2263.8	0.0
7063	წყალმომარაგება	2294.8	9123.2	801.5
7064	გარე განათება	779.1	1401.3	900.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	391.3	662.0	234.2
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1672.0	2670.2	1697.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	484.4	686.5	804.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	625.8	921.2	629.4
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	29.9	40.0	0.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	531.9	1022.5	263.6
709	განათლება	5382.9	8708.6	6674.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	5037.0	7133.0	6128.4
7092	ზოგადი განათლება	172.2	1575.7	0.0
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	172.2	1575.7	0.0
7093	პროფესიული განათლება	71.1	0.0	244.3
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	102.5	0.0	301.3
სულ		22274.3	49741.4	30558.9

მუხლი 10. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 102.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება



განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათ. ლარის ოდენობით მათ შორის:

(ათას ლარებში)

ა) განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათ. ლარის ოდენობით			
დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	4,380.4	-13,092.8	0.0

მუხლი 12. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -102.0 ათასი ლარის ოდენობით მათ შორის:

(ათას ლარებში)

ა) განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0.0 ლარის ოდენობით			
დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
ვალდებულებების ზრდა	-	-	-

(ათას ლარებში)

ბ) განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 102.0 ათასი ლარის ოდენობით			
დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
ვალდებულებების კლება	110.9	154.0	102.0

მუხლი 13. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით საგანგებო ან/და გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 140.0 ათ. ლარის ოდენობით, რომელსაც განკარგავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო თანხების გამოყოფა განხორციელდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები

1. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 260.0 ათ. ლარის ოდენობით;

2. საქართველოს მთავრობის 2019 წლის №2630 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“



გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4,716,366 ლარი შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად: სოფელ კრწანისში შიდა გზების მოასფალტება – 760,000 ლარი; სოფელ ნაზარლოში გზების მოასფალტება – 629,860 ლარი; სოფელ ვახტანგისში გზების მოასფალტება – 704,634 ლარი; სოფელ აღთაკლიაში გზების მოასფალტება – 668,363 ლარი; სოფელ ყარაჯალარში გზების მოასფალტება – 762,690 ლარი; სოფელ ჯანდარაში გზების მოასფალტება – 665,893 ლარი; სოფელ სართიჭალაში შიდა გზების მოასფალტება – 524,926 ლარი.

თავი II

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, 2020 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების, საკანალიზაციო და სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-ექსპლუატაცია, სპორტული მოედნების მოწყობა, დასასვენებელი პარკებისა, საზოგადოებრივი სივრცეებისა და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, სტიქიის პრევენციისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელება.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სამუშაოების განხორციელება. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტში შიდა გზების რეაბილიტაცია, სიჩქარის შემზღვევადი ბარიერების მოწყობა, ქალაქის და სოფლების დაზიანებული გზების ორმული შეკეთება, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება, მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების ფონდის ხელშეწყობით ქალაქის და სოფლების ცენტრალური გზების თანდაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი სატრანსპორტო მიმოსვლა;
- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა; **შედეგების შეფასების ინდიკატორები:**
 - საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
 - გადაადგილების დრო და სატრანსპორტო ხარჯები;
 - რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობა;
 - მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი;



1.2 წყლის სისტემების განვითარება (02 02)

მიუხედავად იმისა, რომ გასული და მიმდინარე წლების განმავლობაში აქტიურად ხორციელდებოდა წყლის სისტემებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, პრობლემები სრულად ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. შესაბამისად აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებში განხორციელდება სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობა, სოფლის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება, სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა, საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ასევე მოხდება არსებული საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაუმჯობესებული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- სასმელი წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება;
- საკანალიზაციო სისტემების გამართული ფუნქციონირება;
- მოწესრიგებული სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემებით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული კომუნალური ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული სასმელი წყლის სისტემებით მოსარგებლეთა რაოდენობა;
- რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემებით მოსარგებლეთა რაოდენობა;

1.3 გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა, სკვერების განათება და სხვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- განათებული ქალაქი და სოფლები;
- მოსახლებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა;

შეფასების ინდიკატორები:

- ექსპლოატაციაში არსებული სანათი წერტილების რაოდენობა;
- კმაყოფილი მოსახლეობის რაოდენობა;

1.4 მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია, საცხოვრებელი შენობების სახურავების გადახურვა, სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვა.



1.5 სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 05)

მოსახლეობის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და სტიქიური უბედურებების თავიდან ასაცილებლად გარდაბნის მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში, სადაც ჩამოედინება მდინარე, აუცილებელია ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, რაც დაფინანსდება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. პროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი არხების მოწყობასა და რეაბილიტაციას.

1.6 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგები:

- ქალაქის იერსახის გაუმჯობესება;
- მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული და ახლად შექმნილი საზოგადოებრივი სივრცეების რაოდენობა;

1.7 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

1.8 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამის კოდი 02 08) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ადგილობრივი გზების მოასფალტება და ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია და სხვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- სოფლის მაცხოვრებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სუფთა და სანიტარულად მოწესრიგებული გარემოს უზრუნველყოფა. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ გარდაბნისა და მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია- ექსპლოატაცია და მოვლა-



პატრონობა. საჭიროების შემთხვევაში ასევე მოხდება ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შექმნა.

მოსალოდნელი შედეგები:

- სუფთა და მოწესრიგებული გარემოს შექმნა;
- მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფის შედეგად მიღებული უსაფრთხო გარემო;
- ახალი და რეაბილიტირებული სკვერების მოწყობა;

შეფასების ინდიკატორები:

- დასუფთავებული ტერიტორიის მოცულობა;
- მაწანწალა ცხოველების მიერ გავრცელებული ეპიდემიების შემცირება;
- მწვანე ნარგავებისა და სივრცეების რაოდენობის გაზრდა;

2.1 დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ გარდაბანისა და მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა- დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.

2.2 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.

2.3 კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შექმნა.

3 განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. დაწყებითი ზოგადი განათლების მხარდაჭერის ფარგლებში მოხდება საჯარო სკოლების რეაბილიტაცია. პროგრამა ასევე ითვალისწინებს საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.



3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მომავალი თაობის აღზრდა და სკოლის ასაკისთვის მომზადება ყველასთვის მნიშვნელოვანი საკითხია. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტი განახორციელებს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მშენებლობას და არსებულის მოვლა-პატრონობას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საბავშვო ბაგა-ბაღებში დაწყებით განათლებას იღებს 2-დან 6 წლამდე ბავშვები. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

მოსალოდნელი შედეგები:

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;
- გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო;
- ახალი და რეაბილიტირებული ბაღების ზრდა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აღსაზრდელთა რაოდენობა;
- სააღმზრდელო გარემოთი კმაყოფილი მშობლებისა და პედაგოგების რაოდენობა;
- ახალი და რეაბილიტირებული ბაღების რაოდენობა;

3.2 დაწყებითი ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 04 02)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. გარდაბნის მუნიციპალიტეტი პროგრამის ფარგლებში განახორციელებს ქალაქ გარდაბანსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული საჯარო სკოლების რეაბილიტაციას. ასევე, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მოსწავლეების ტრანსპორტირებას, მათი უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაადგილებისათვის.

4 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-



ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. კულტურისა და ხელოვნების სფეროში სხვადასხვა პროექტის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; პრიორიტეტის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტის სხვადასხვა სახეობაში ტურნირების ჩატარება, სახალხო-რელიგიური დღესასწაულების გამართვა და სხვა. ასევე, განხორციელდება წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელ-მასწავლებელთა დაჯილდოება, ახალგაზრდების სხვადასხვა ასპარეზზე მხარდაჭერა და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

მოსალოდნელი შედეგები:

- ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება;
- ახალგაზრდების ფართო მასების ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;
- სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა ტურნირებზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა;
- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- სხვადასხვა ტურნირზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა;

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი



ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობაში კულტურისა და ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება;
- მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;
- კულტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება და დაცვა;
- საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა;
- ფესტივალებში, კონკურსებში და სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობა;

4.3 ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური გამოყენება;
- ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01) პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში და ამის საფუძველზე მუნიციპალიტეტში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამებების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელოების ღონისძიებები;

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისაგან;
- მოსახლეობაში გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად მუნიციპალიტეტში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;



შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა;
- საშიშ ინფექციური დაავადებით ავადობის მაჩვენებლის შემცირება;
- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა;

4.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ავადმყოფთა სოციალური დაცვა, ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის დაფინანსება, მოსწავლეებისა და პედაგოგების ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის ხარჯების ანაზღაურება, მოსახლეობაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარებების გაცემა, დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების დაფინანსება, C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დახმარება, დედამამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება, უსახლკაროდ დარჩენილთა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა პირთა სოციალური დახმარება, ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარება, ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვა, სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვთა დახმარების პროგრამის დაფინანსება, სტუდენტების მატერიალური დახმარება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;
- სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- C ჰეპატიტით დაავადებული და დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარების რაოდენობა;
- სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფილ ბენეფიციართა რაოდენობა;
- C ჰეპატიტით დაავადებულ მოქალაქეთა რაოდენობის შემცირება;

4.2.1 ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01)



მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საოპერაციო ხარჯების დაფინანსება საჭიროებიდან გამომდინარე.

